თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №6861469

ნომერი: AR11011717

თარიღი : 22.01.2024

გაცემის თარიღი : 30.01.2024

გაცნობის თარიღი : 30.01.2024

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მარნეული , N 43;

დამკვეთი-განმცხადებელი
- მამუკა ბარათაშვილი პ/ნ 54001054374
- ქალაქი თბილისი

ორგანიზაცია:
- შპს არქჰაბი კოდი: 415595831

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 16 იანვრის №6843374 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024 წლის 22 იანვრის №AR11011717 განცხადებით მომართა მამუკა ბარათაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2024 წლის 16 იანვრის №6843374 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2024 წლის 16 იანვრის №6843374 ბრძანებით №01.18.12.021.012 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე საწყობის და ოფისის (არაუმეტეს 25%) მშენებლობის და რეკონსტრუქციის მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2024 წლის 16 იანვრის №6843374 ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, კერძოდ: მშენებლობის სახეობად „ახალი მშენებლობის და რეკონსტრუქციის“ ნაცვლად მითითებულია „რეკონსტრუქცია“. შესაბამისად ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.

დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დადგენილ იქნა, რომ განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება შესაძლებელია. კერძოდ, 2023 წლის 11 აგვისტოს №AR1983478 განცხადებით სამსახურს მომართა მამუკა ბარათაშვილმა და მოითხოვა №01.18.12.021.012 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე საწყობის და ოფისის (არაუმეტეს 25%) მშენებლობის და რეკონსტრუქციის მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცება, რაც დაკმაყოფილდა სამსახურის 2024 წლის 16 იანვრის №6843374 ბრძანებით. თუმცა ტექნიკური შეცდომის შედეგად მშენებლობის სახეობა არასწორად დაფიქსირდა. ამასთან, ამავე განცხადებაზე წარმოდგენილი შენობა- ნაგებობის განთავსების სქემის მიხედვით, გათვალისწინებულია როგორც ახალი მშენებლობა, ასევე არსებული შენობის რეკონსტრუქციაც.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 16 იანვრის №6843374 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ვბრძანებ:

1.გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 16 იანვრის №6843374 ბრძანებაში და მშენებლობის სახეობად დაფიქსირდეს: ახალი მშენებლობა და რეკონსტრუქცია.

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 16 იანვრის №6843374 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 16 იანვრის №6843374 ბრძანებასთან ერთად.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.